№ 673 შაბათი, 7 ნოემბერი. 1896—1898 შაბათი, 7 ნოემბერი № 673

სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურო ქარვასლა.

ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.

პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ ვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363



ხუარებელი რიცხვი
## საკერავი მაშინე-ბისა

ყოველგვარი სისტემისა და ყოველგვარი ხარისხისა, როგორც საშინაოდ ოჯახში სახმარებლად, აგრეთვე სხვა-და-სხვა სახელოსნოებისათვის

პირველ ხარისხოვანი და საგანგებო
## ველოსიპედები
(თვით-მავალა)

ინგლისის, საფრანგეთის და გერმანეთის ქარხნებიდან
ყველაფერი იყიდება შეღავათიანის ფასით
✦ ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილად შეიძლება ✦
ყველაფერი, რაც-კი ამ სავაჭრო სახლიდან გაიყიდება, მკვიდრი დ მაგარია, რაშიაც სრული თავდებობაა

ვაჭრობის სახლი
ს. პ. პავლოვისა და ამხ.
ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 6.
ტელეფონი 349

**Торговый домъ**
С. П. Павлова и К-°
Телефонъ 349
Тифлисъ, Лор.-Меликовская ул. № 6, противъ Пр авосл. Семин

Богатѣйшій выборъ
**Швейныхъ машинъ**
и
**ВЕЛОСИПЕДОВЪ**



(100—64)

უმორჩილესად ვსთხოვთ ყველა იმ პირთ, რომელთაც ჩემგან წაღებული აქვთ „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" ყულაბები, კეთილ ინებონ და დაუბრუნონ დროისით ხსენებული ყულაბები საზოგადოების კანცელარიას. ეს თხოვნა შეეხება იმათ, რომელთაც პირველად დაურიგდათ ყულაბები.
(5—2) ნინა ყიფიანისა

ახლად შემდგარი სუფსის მეეტლეთა ამხანაგობა
## „კავშირი"
იწყებს თავის მოქმედებას პირველ ნოემბრიდან.
ეტლთა მიმოსვლა არის შედარებული მატარებლის მიმოსვლასთან. სუფსიდან გადის ომნიბუსი ქ. ფოთში დილის 10 საათზე, ბრუნდება 6 საათზე საღამოს.
ფასი დაწესებულია ერთი მანეთი
ამხანაგობის გამგე ბ. შ. კომასიძე
(15—2)

დოქტორი მედიცინისა დ ქირურგი
## ბენკლევსკი
ავადმყოფებს ღებულობს დილის 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.
გრიბოედოვის ქუჩა, არშაკუნისეული სახლი № 30.

Докторъ медицины и хирургъ
**БЕНКЛЕВСКІЙ**
Грибоѣдовская № 30, д. бывш Аршакуни. (წ.)

სამკურნალო და ამბულატორია
## ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე· შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.** საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. კ. გერრატი.**
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**
20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r **ф. ბაცევიჩი.**
თვალების ავადმყოფობას—**ი. კ. ვ შავსკი.**
ამბულატორ ი არის კაბინეტია საექიმო და საბაქტეროლოგიო გამოკვლევი ვის, ელექტრონით წამლობისა ვისა და საჟისთვის.
სამკურნალო ირექტორი **ს. ბ. თოფურია.**
***Лѣчебница В. С. Топурія*** въ Кутаисѣ.

დაიბეჭდა და ისყიდება
ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგად. წიგნის მაღაზიაში
ამავე საზოგადოების ახალი გამოცემანი:
1) ამოდის, ნათდება! და სხვა მოთხრობები, ვაჟა-ფშაველასი. ფასი 15 კ.
2) კრილოვის არაკები, თარგმანი აკაკისა, მესამე გამოცემა, სურათებით. ფასი 30 კ. (10—10)

# ახალი ამბავი

*** **დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის იუბილეის გამო.** ქალაქის გამგეობის და საგანგებო კომისიის შეერთებულმა სხდომამ 4 ნოემბერს დაადგინა: მისი იმპერატორებითი უმაღლესობის დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის 50 წლის სახელმწიფო მოღვაწეობის პატივ-საცემად დაარსებულ იქმნეს ქალაქის ხარჯზე ქალაქის ოთხ კლასიანი დასაწყისი სასწავლებელი; ხუთ-ხუთი სტიპენდია ტფილისის ორ საქალებო გიმნაზიაში, ერთი სტიპენდია საბებიო ინსტიტუტში, ერთი ტახტი იმავე ინსტიტუტში მელოგინე ქალისათვის და წყლის პირის ქუჩას დაერქვას დიდი მთავრის ქუჩა.

*** **პირველმა ქართულმა წარმოდგენამ** გუშინ-წინ კარგად ჩაიარა, ხალხიც ბლომად დაესწრო. წარმოდგენილ იქმნა „კრეჩინსკის ქორწილი" და „ჭკუისა მჭირს". ორსავე პიესებში აქტორები მვვირცხლად თამაშობდნენ. დაწვრილებით ხვალ იქნება.

*** **ბათომის არჩევნების საქმე.** ქუთაისიდან „ჩერნ. ვესტ." დეპეშით აუწყებენ, რომ საჩივარი ბათომის ქალაქის საბჭოს ხმოსნების არჩევნებზე, რომელიც მოხდა 18 ოქტომბერს, ქუთაისის საგუბერნიო ქალაქის საქმეთა საკრებულომ უყურადღებოდ დასტოვა.

*** **სამხედრო ბეგარა.** ტფილისის სამხედრო საკრებულო ამ ჟამად უკვე შეუდგა იმ პირთა სიის შედგენას, რომელიც მოწვეულ უნდა იქმნენ მომავალ წელს სამხედრო ბეგარის მოსახდელად.

*** **ავადმყოფობა ტფილისში.** 5 ნოემბერს ტფილისში ავად გახდა ყვავილით 5 კაცი და ყელჭირვებით—1.

*** **აბასთუმნის სამკურნალო წყლები** მთელი თავისი მიდამოებით ფინანსთა სამინისტროს უწყებიდან გადადის სამხედრო სამინისტროს განკარგულებაში, ხოლო ადგილობრივი წყლების უმაღლესი მართვა-გამგეობა მინდობილი აქვს კავკასიის მთავარ-მართებელს.

*** **შემწეობა დიდი მთავრისაგან.** ამ დღეებში დაურიგებენ შემწეობას იმ პირთ, რომლებმაც მის იმპერატორებით უმაღლესობას, დიდ მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს მისი კავკასიაში ყოფნის დროს შემწეობა სთხოვეს, და რომელთა თხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებლად იცნო საგანგებო კომისიამ.

*** **სამუშაო დრო აფთიაქებში.** ვილაც მეაფთიაქის „თანაშემწე" გაზ. „ტფ. ფ."-ში იუწყება, რომ მრავალი აფთიაქის პატრონი იმის მაგივრად, რომ მიჰბაძონ პროვიზორს ლ. ა. კამოცკის, რომელმაც თავის აფთიაქაში მსახურთათვის სამუშაო დრო შეამცირა, გადაჭრით უარს ეუბნებიან თავის აფთიაქების მსახურთ სამუშაო დროს შემცირებაზე.

*** **დ. ზ. მელიქიშვილის მოსვლა.** 5 ნოემბერს დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან მისი დიდებულების სასახლის ეგერმეისტერი კავკასიის მთავარ-მართებლის საგანგებო მინდობილებათა მოხელე თ. დ. ზ. მელიქიშვილი.

*** **მავნებელ ცხოველებისა და მწერების მოსპობა.** შინაგან საქმეთა სამინისტროს სამკურნალო საბჭო ამ ჟამად შეუდგა იმ კითხვის განხილვას, თუ როგორ უნდა გაუადვილდეს მემამულეთ სხვა და სხვა შხამიან ნივთიერების შეძენა ყანებისა, ბაღებისა და ბოსტნებისათვის მავნებელ ცხოველებისა და მწერების მოსასპობად.

*** **ქალაქის დასუფთავების საქმე.** რადგან კავკასიის მთავარ-მართებელმა სალდათის ბაზარზე დიდი უსუფთაობა აღმოაჩინა ტფილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა ტფილისის პოლ იცმეისტერს, სავსებით დააუფთავეთ ეს ბაზარი ოთხი დღის განმავლობაში და ვინც პოლიციის მოთხოვნილება დაარღვიოს ან დროზე არ შეასრულოს, სასტიკ პასუხის-გებაში მიეცითო.

*** **რძის კანტროლი.** სასანიტარო-სამკურნალო საბჭო ამ ჟამად ხელმეორედ ადგენს საკანტროლო წესებს და სავალდებულო დადგენილებით რძით ვაჭრობის შესახებ.

*** **ახალი დანიშნულება.** როგორც ისმის, პოლიციის მე-9 განყოფილების ბოქაული ბ. ტატიშვილი დანიშნულია მეტეხის ციხის ზედამხედველად.

*** **აქტი ტომსკის უნივერსიტეტში.** 22 ოქტომბერს შესრულდა ათი წელიწადი რაც ტომსკში უნივერსიტეტი დაარსდა. დაარსდა ეს წმინდა-წმინდათა, ტაძარი, ახალ თაობის მზარდელ-მწრთვნელი და სინათლის გზაზე დამყენებელი. ამ ღირს-შესანიშნავ დღეს ათი წლის უნივერსიტეტის არსებობას სიხარულით მიეგება ყველა: პროფესორი და სტუდენტი, ერის კაცი და სამღვდელო, ახალგაზდა და მოხუცი, ერთი სიტყვით ხარობდა დიდი, ხარობდა პატარა, ხარობდა მთელი ქალაქი; ყოველი კუნჭული ცივი ციმბირისა და კიდევაც ჰქონდათ სასიხარულო, იმიტომ რომ იგი დღესასწაულობდა ათი წლის უნივერსიტეტის უმაღლეს სასწავლებლის არსებობას, რომელსაც სხვა ქალაქებს, სხვა კუთხეს იმპერიისას, უფრო დასახლებულებს, უფრო პროგრესის გზაზე დამდგრებს, ოცნებათ მიაჩნიათ უნივერსიტეტის ქონა.

მთელი ქალაქი ბაირაღებით იყო მორთული. უნივერსიტეტის ეკკლესიაში მისმა უსამღვდელოესობამ, ტომსკის ეპისკოპოსმა, მაღარიმ სწირა და პარაკლისი გადიხადა, რომელსაც აქტი მოყვა. აქტს ყოველი წარჩინებული პირი და ინტელიგენცია ტომსკისა დაესწრო. უნივერსიტეტის ზალა მთლად გატენილი იყო.

აქტზე უნივერსიტეტის რექტორმა, ბ-ნმა სულაკოვმა, დროებით მზრუნველის თანამდებობის აღმასრულებელმა, გამოაცხადა უმაღლესი ბრძანება იურიდიულ ფაკულტეტის გახსნაზე. სტუდენტები და ხალხი ამას დიდის აღტაცებით მიეგებნენ დიდხანს არ შეწყვეტილა ტაშის ცემა და „ვაშას“ ძახილი. ხორომ „უფალო დაიცვე მეფე“ იგალობა.

შემდეგ რექტორმა წაიკითხა უნივერსიტეტის ათი წლის მოღვაწეობაზე და მის მდგომარეობაზე.

როგორც წაკითხულიდან სჩანდა კაბინეტები და სამოსწავლო დამხმარო ქონება 216 ათას მანეთამდის ღირს. უნივერსიტეტის შენახვაზე ამ ათ წელიწადს ხაზინას $3^1/_2$ მანეთი დახარჯვია. უნივერსიტეტს ჰქონია მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელიც ნახევარ მილიონი მანეთი მეტი ჰღირს და შეიცავს 100,000 ტომს. ამასთანავე დასძინა ბ-ნმა რექტორმა, რომ ტომსკის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა გაცილებით მდიდარია ზოგიერთი უნივერსიტეტის, მაგალ. ყაზანის, კიევის და სხვ. ბიბლიოთეკებზე, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი უნივერსიტეტი მათთან შედარებით ახალგაზდაა.

მაგრამ, სამწუხაროდ, ღარიბი ყოფილა ბიბლიოთეკის იურიდიული განყოფილება წიგნებით, რასაც ახალ გახსნილ იურიდიულ ფაკულტეტზე დიდი გავლენა ექნება, თუ მალე არ შეივსო ეს ნაკლი.

უნივერსიტეტი რომ გახსნილა, მაშინ მხოლოდ 8 პროფესორი ყოფილა მედიკურ ფაკულტეტზე, ეხლა-კი 26 პროფესორია. ამ ათ წელიწადში 1082 სტუდენტი ყოფილა უნივერსიტეტში, ამათგან 760 სემინარიელი და 228 გიმნაზიელი. დანარჩენები: თავისუფალი მსმენელები, ფარმაცევტები და სხვა საშუალო სასწავლებლის შეგირდებიც 30.

სულ 289 ექიმს გაუთავებია ეს უნივერსიტეტი, დანარჩენებს ზოგს თავი დაუნებებია და მომეტებული ნაწილიც სხვა უნივერსიტეტში გადასულან. 25 მომკვდარა.

უნივერსიტეტს საზოგადო საცხოვრებელი აქვს 80 კაცისთვის; საზოგადო საცხოვრებელს აქვს სტუდენტებისთვის ბიბლიოთეკა, რომელსაც 3000 ტომი წიგნი აქვს და იღებს 91 პერიოდულ გამოცემებს.

იურიდიულ ფაკულტეტზე 20 ოქტომბრამდის 117 სტუდენტია მიღებული.

შემდეგ ბ-ნმა სულაკოვმა წაიკითხა მილოცვის დეპეშები და ყოველ დეპეშის გათავებაზე დამსწრენი ტაშს უკრავდნენ და „ვაშას“ გაიძახოდნენ.

შემდეგ სულაკოვისა იურიდიულ ფაკულტეტის დეკანმა ბ-ნმა თაფაშნიკოვმა წარმოსთქვა სიტყვა, თუ რა ნათელს შეიტანს ახლად გახსნილი ფაკულტეტი ციმბირის ცხოვრებაში და მის სოციოლოგიურ მიმდინარეობაზე რა ცვლილებას მოახდენსო. და ბოლოს იურიდიულ ფაკულტეტის სტუდენტებს შიჰმართა და ისურვა, რომ ერთგულად მოჰკიდონ ხელი თავიანთ მოვალეობას და პროფესორებთან ხელ-ჩართულებმა გულუბრყვილოდ და დაუღალავად იშრომონ მიზნის მისაღწევად.

დაბოლოს ბ-ნმა პოპოვმა, მედიკური ფაკულტეტის დეკანმა, წაიკითხა ლექცია: „Краткій очеркъ современнаго состоянія ученія о преступникѣ съ точки зрѣнія уголовно-антропологической“.

აქტი ამითი გათავდა. საღამოზე სტუდენტური „ვეჩერი“ გამართეს, ხალხი ბევრი დაესწრო და ერთთავად სწავლაში გართულმა ახალგაზდობამ, სტუდენტობამ, ცოტა ხნობით სიმხიარულეს მისცა თავი. „ვეჩერმა“ დიდხანს გასტანა და ხალხი ნასიამოვნები დაიშალა.

ქ. ტომსკი. მ. ლიხელი

*** **ბახვი.** ჩვენი ქალების გამო. ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ თქვენის გაზეთ „ცნ. ფურ.“ ერთ-ერთ უახლოეს №-ში დაუთმოთ ადგილი ამ ჩემს, შენიშვნას, რომელიც გამოიწვია ქ—ნ ეკატერინე გაბაშვილის წერილმა, დასტამბულმა „ივერიის“ მე-100 №-ში სათაურით „ჩვენს ქალებს“

მკითხველმა საზოგადოებამ, შეიძლება, მეტიჩრობაშიაც ჩამომართოს, ან და წყრომითაც შემდეგი მიპასუხოს: „ეს არც პატივცემულის ეკ. გაბაშვილის წერილის დამაკმაყოფილებელი, მის გამოწვდილს მადლიანს ხელში მისაცემი მასალაა და არც ჩვენ გვესაჭიროება ეს ლანძღვა-გინებისებური წერილიო.“

მეც დარწმუნებულრ ვარ, რომ ეს შენიშვნები საქველ-მოქმედო სალაროს ვერ აამსებენ, მაგრამ როგორც ერთ ქართველ ქალთაგანს გული არ მეშვება, რომ შეუნიშნავად დავსტოვო ჩვენი ეხლანდელი გამომყაყებული ზოგთა ქალთა აზრი, მათი შეხედულობა მომავალზე, მისწრაფება და უაზროთ გადაგვარების მომსურნეობა.

ვისაც როგორც სურს ისე მიიღოს, მხოლოდ „ივერიაში“ მოთავსებული წერილის შინაარსით ამ შემთხვევაში უნდა ვისარგებლო და ჩემი გულის ვარამიც შეძლებისა და გვარად წარმოვსთქვა.

ჩვენ კურთხეულ საქართველოს, რომლის ხსენებაც ყველა ქართველს გრძნობა ატკენს, (თუნდა მიბაძულობითაც)—რაც ვაჟკაცობა ჩაუდენია უეჭველათ ქართველი ქალების—დედების წყალობით. საქართველოსაგან სახელის მოხვეჭაში მაშინდელ ქართველ დედებსაც ისეთი მონაწილეობა მიუძღვის, როგორც მამაკაცებს. დედა თავის შვილთ აკვნიდგან ისეთივე აღზრდას აძლევდა, რაიცა მაშინდელ დროში მოუცილებელი საჭირო იყო.

დღეს, როცა ცხოვრება სხვა კალაპოტში ჩადგა, სხვა მხრით მიიღერა სამსვლელო კისერი, როცა აზნაურნებას და არა ვაჟკაცობას დაედო მეტი ფასი, როცა ის ძველი დედა-ბოძი შეიძრა,—ჩვენ, დედებმაც, შევცვალეთ ჩვენი მიმართულება, მაგრამ საუბედუროდ ის არ დაუკავშირეთ ეხლანდელს ცხოვრების მიმდინარეობას, სულ სხვა მხრით დავიწყეთ ცქერა და აღარც ძველისა და აღარც ახლის აღარა ვართ! ვიმეორებ ეხლანდელ ცხოვრებას გზა აუქციეთ, ხოლო ძველის ჩიჩინი ჩვენ დღეს აღარ გვარგებს. ამ ნაირად ცხოვრება და ჩვენ ერთი ალთას მეორე ბალთასა ვართ. ეხლა ჩვენ მოვალეობათ მიგვაჩნია ის, თუ როგორ გამოვატვსნოთ ჩვენი შვილები, შევასწავლოთ სხვა [illegible] სხვა დამამახინჯებელი ზრდილო[illegible] ეტიკეტები. ხოლო სხვა მხარეზე კი სრულებით არ ვიფიქროთ. ჩვენი მისწრაფება ის არის, რომ შევისწავლოთ მხოლოდ ის მხარე ცხოვრებისა, რომელიც გარდა ზიანისა, სარგებლობას ვერ მოგვიტანს, აგრეთვე ჩვენი ქალიშვილებიც შევქნათ მოკეკლუცე, თვალწარმტაც უფრო ენაზე მოჭიკჭიკე „ბარიშნათ“, რომ ამა თუ იმ სასიძოს თვალი კარგათ აუბას.

მერწმუნეთ, რომ ამგვარად აღზრდილი ქალები დღეს ჩვენ დე[illegible]ბათ ვერ გამოგვადგებიან, სწორედ დღევანდელმა ასეთმა მდგომარეობამ ამომათქმევინა ორიოდე სიტყვა, რომელიც გამოიწვია ეკ. გაბაშვილის წერილმა. ვნახოთ რავდენათ გულშემატკივარნი გამოვდგებით ქართველი ქალები, რამდენათ ჩაგვწვდება გულის სიღრმეში ეს მარგალიტი წყარო, სულისა და ხორცის განმასპეტაკებელი სიტყვები პატიოსანის მოღვაწე ქალისა, ეკ. გაბაშვილისა.

შეიძლება ვინმემ გაუნათლებლობის, სიბნელის მომხრეობა შემომწამონ, მაგრამ სრულიადაც არა; ვინ დასამიწებელი უარყოფს მიბაძვას მხოლოდ კეთილისას. რაღაი მაინც და მაინც ამაში გამოვდექით შეუდარებელი მიმბაძველნი, რაიცა სულიერათ და ხორციელათ დაგვამახინჯებს, და ახალ თაობას გაგვირყვნის და გაგვილაყებს. მიბაძვა სასარგებლო მაშინ არის, როდესაც ამ მიბაძვით უცხო ნიადაგიდ-

გან ჩვენ სასარგებლოს და საკეთილდღეოს გადმოვნერგავთ რასმეს, თორემ ბრინჯ-ფქვილა და ათას ნაირი ტანის დამამახინჯებელი მანქანის გადმოტანა ჩვენ სამშვიდობოს ვერ გაგვიყვანს, ეს არც სამშობლოს სიყვარულს შეიცავს და არც კერძო ოჯახისას.

სამშობლოს სიყვარული, მისთვის თავდადება, მისი სამსახური მაშინ გამოგვაჩნდება როცა ერთად, ხელი ხელს მიცემული, მივყვებით იმ მცირე რაზმს ქალებისას, რომელნიც მადლიანის კარებით შესავალ ბანაკს—მოთავსებულან. რა გახდა? რა დიდს დავკარგავთ? მოვიკლოთ გადანამეტის მეასედი, დავთმოთ ცოტა რამ თითომ ჩვენგანმა და ბევრი გაკეთდება „съ міру по ниткѣ—голому рубаха“-ო, ამბობს რუსული ანდაზა.

მივსცეთ პროვინციებიდგან შემწეობა ყოველ კეთილ დაწყებულობაზედ ქ—ნ ეკატერინეს, ვიყოლიოთ ამ გვარებში წინამძღოლად, რომ შემდეგში მომავალმაც ფასი დასდოს ჩვენ ნაღვაწ-ნამოქმედარს და ძველ დედებსავით მათ რიცხვში ჩვენც ვიხსენებოდეთ.

ელპიდა მგელაძისა.

…რესი, რომელიც მიართვეს კავკავის ქართველობამ კავკავის ეპისკოპოსს.

ყოვლად უსამღვდელოესო მეუფეო, მოწყალეო მთავარ-მწყემსო და მამაო!

განგებითა ღვთისათა, ნებითა თვით უპყრობელესის ხელმწიფისა და რუსეთის ეკკლესიის უწმიდესის მთავრობის დადგენილებითა 1893 წლიდგან თქვენ ჩაებარდათ კავკავის ეპარქია. დიდად სამძიმო და სანაღვლო იყო თქვენთვის განშორება ამ სამწყსოსაგან და გარშემორტყმულ მოღვაწეთაგან, რომელთა შორის გაატარეთ 18 წელი ძვირფასის სამშობლოს და მართლ-მადიდებლის ეკკლესიის სასარგებლოდ ფრიად ნაყოფიერ შრომაში. ალტაიისა და კირგიზიის მხარეს გამოთხოვების დროს, როცა შორდებოდით ერთგულ თან-მოღვაწეებს და სამწყსოს, თქვენი მეუფება მოიცვა შემდეგმა ფიქრებმა: „არ ვიცი რა მომელის ახალს ასპარეზზედ, აქედგან შორეულს მხარეში კავკასიონის მთებშიო“, მაგრამ მშვიდად ჰსასოებდით ყოვლად მოწყალის უფლისადმი. მეფეთა-მეფე, რომელზედაც დამოკიდებულია ყველა ადამიანის მომავალი ბედი, თუ უბედობა-ყოველთვის სიფრთხილით იფარავს ზეგარდმო მადლით ცხებულს და ღვთიურის ნიჭით დაჯილდოვებულს ადამიანს. ყოვლად უსამღვდელოესო მეუფეო, უზენაესს არსებას თქვენც დაუჯილდოებიხართ იშვიათის თვისებით—ამოძრაოთ ხალხის გული და …მართოთ საქმენი მათნი სასურველად. … გამო, თქვენო მეუფებავ, ახალ… …სოშიაც ძალიან მალე დაიმსახურეთ საზოგადო პირუთვნელი სიყვარული და მისწრაფება თქვენდამი მთელის სამწყსოისა ნამდვილის მამობრივისა და მწყემს-მთავრულის ზრუნვისათვის. საზოგადო ღვაწლთა შორის, რომელიც მიუძღვის თქვენს მეუფებას ეპარქიაში, განსაკუთრებით აღსანიშნავია ის დახმარება, რომელიც გაუწია თქვენმა მეუფებამ ადგილობრივს ქართველთ ზნეობრივად წარმატების საქმეში. პირველს დღიდგანვე კავკავში მობრძანებისა თქვენ მიაქციეთ მწყემს-მთავრული ყურადღება კავკავის ქართველთ სარწმუნოების მხრივ დაქვეითების საქმეს, დაუახლოვდით და გაიგეთ მათი არსებითნი სულიერნი საჭიროებანი—თქვენის პირველის ქადაგებით, ქართველებთან ალერსიანად და თანაგრძნობით მოქცევით „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სკოლის შენობის კურთხევის დროს, თქვენმა მეუფებამ ერთბაშად მიიზიდა კავკავის ქართველობა, რომელშიაც განაღვიძეთ მიმქრალი სარწმუნოებრივი გრძნობანი, თავი მოუყარეთ ერთად და შემოიკრიბეთ გარს ქართველები, განამტკიცეთ მათში ნდობა და რწმენა სასწავლებლის მიმართ, რომელიც გამოიხატება დღეს მოწაფეთა რიცხვის სამჯერ უმეტესობით ამის შემდეგაც არ გვაკლებდით თქვენს მზრუნველობას, თქვენი მეუფება ხშირად ჰნიშნავდა სასულიერო და საზნეობრივო საუბრებს ყველა ჩვენთვის ადვილად გასაგებ მშობლიურს ენაზედ, იწვევდით ბევრჯერ ქართველ მღვდელს ღვთის მსახურების შესასრულებლად, თქვენმა მეუფებამაც რამდენჯერმე წარმოსთქვა საღმრთო სიტყვები ჩვენს დედა ენაზედ; გვირგვინად ყველა თქვენის მეუფების მიერ მოღვაწეობისა ჩვენდა სასარგებლოდ შექმნა სასწავლებლის ეკკლესია. ყველა ჩვენდა სასარგებლოდ საქმეების განხორციელების დროს თქვენ ხელ-მძღვანელობდით მაღალის კაცთ-მოყვარეობითის სურვილით და აზრით, რომ საჭირო სწავლა-მოძღვრება და ქრისტიანული ჭეშმარიტებანი გადაცემული იქმნას გასაგების ენით, რომ მან ღრმად გაიდგას ფესვები ხალხის გულში. ყველა ამ სიკეთისთვის კავკავის ქართველები გულის ღმობიერად და უღრმესის მადლობით, მხურვალე ლოცვას აღვავლენთ უზენაესის საკურთხევლის წინაშე და შევსთხოვთ თქვენის მეუფების, მოწყალე მწყემს-მთავრის და სულიერის მამის მრავალ-ჟამიერ დღეგრძელობით სიცოცხლეს თქვენის სამწყსოს სასარგებლოდ და ასაყვავებლად.

## სამეცნიერო ცნობა

—

ბოტანიკის ტერმინების გამოქართულება. ერთმა კრიტიკოსმა ძლიერ დაიწუნა ჩემი ტერმინები; ეს ტერმინები სულ რუსული ტერმინების გადმოკეთებაო. ჯერ ვკითხავ კრიტიკოსს რუსულიდან არის გადმოკეთებული, თუ ლათინურიდან, ეგ სულ ერთი არ არის?? ვარგან თუ არა? აი რაზე უნდა ჰქონოდა მას ბაასი!! მე მგონია, დროა შევიგნოთ, რომ რაც კარგია შემოვიტანოთ ჩვენ ღარიბ ლიტერატურაში!! გარდა ამისა, თუ არ გვინდა, რომ შემდეგში იმდენი ტერმინები იყოს ერთი და იგივე საგნის გამოსახატველად, რამდენიც ავტორები გვეყოლება, ჩვენ ეხლავე უნდა ტერმინების შესახებ ვიზრუნოთ. ავტორი ამბობს ჩვენ, ქართველებს, სოფელში შეგვიძლიან ტერმინები, შევკრიბოთ, მაგალითად გვირგვინის მაგიერ ხალხში ხმარობენ „ზიზილას“ ბ-ნი კრიტიკოსი უეჭველად თავის თავს ქართული ენის მცოდნეთ სთვლის და ჰგონია, რომ ქართველები „ზიზილას“ უწოდებენ „გვირგვინს“ (вѣнчикъ)). როგორ არ გაუგონია მას „შვილო, ზიზილაები მოკრიფეო“,—აჰა, შვილო „ზიზილა!“ ქართველები „ზიზილას“ უწოდებენ ყვავილს (ესეც ბავშვის ენით) და არა გვირგვინს. ტყუილად, მე ვერავინ დამაჯერებს, რომ ჩვენ სოფელში (ქართლში ან კახეთში, ან თუ გინდ იმერეთში) ქართული სახელები ყვავილის ნაწილებისა მოიპოებოდეს!

დაასახელეთ ბ-ნო კრიტიკოსო!! კრიტიკოსთან ბოდიშს ვიხდი, რომ არ შემიძლიან ფეხდაფეხ მივდიო მის კრიტიკას, რადგანაც მე არა მაქვს ის ნომერი, რომელშიაც იყო დაბეჭდილი ხსენებული კრიტიკა. მხოლოდ მახსოვს, რომ კრიტიკოსი ამბობდა ბოლოს: რუსულიდან გადმოთარგმნას არა სჯობს იმ ენას მივმართოთ, რომლიდამაც რუსებმა გადმოთარგმნესო! დალოცვილი კრიტიკოსი რა შორს მჭვრეტელი ბრძანებულა! ახლა რა იცოდა, რომ მე არ მივმართე ლათინურს ენას, საიდანაც მთელმა ქვეყანამ სთარგმნა!? რადგანაც ქართულ ტერმინს მარტო რუსული ტერმინი უჯდა—იმიტომ ხომ არ იფიქრა, რომ მე მარტო რუსული ენიდან ვთარგმნე ტერმინები.

მაგალითად, ავიღოთ ყვავილის ნაწილები: „ყვავილის საჯდომი“, რუსულად цвѣтоложе, ლათინურად „thalamus“—спальня, комната жилище, мѣсто пребываніе. თქვენ იქნებ უფრო მოგწონებოდათ, რომ გვეთქვა „ყვავილის საწოლი“ (thalamus); შემდეგ „ბადია“ (чашечка), ლათინურად „calux“—რუსულად იქნება чашечка. кожица шелуха—რომელი უფრო გნებავთ? მე მგონია „ბადია“ (calux) უფრო კარგი იქნება; გვირგვინი (вѣнчикъ), ლათინურად არის „corolla“; corolla რუსულად вѣнокъ, вѣнецъ. მაშასადამე, „გვირგვინი“ (corolla) მშვენივრად ყოფილა გადმოთარგმნილი ლათინურიდან.

მამალ ორგანო (тычинка), ლათინურად „Stamen“, струна, нить; არც რუსულიდან არის გადმოთარგმნილი ჩემი ტერმინი და არც ლათინურიდან? რამდენად კარგია ჩემი ტერმინი, ამას დავამტკიცებ, როცა საჭირო იქნება. სამტვერო (пыльникъ), ლათინურად „anthera“—мѣшокъ, вмѣстилище.

დედალ-ორგანო (пестикъ), ლათინურად (pistillum)—რუსულად пестъ. „დედალ ორგანო“ მშვენივრად ხატავს იმ საგანს, რომელსაც ამ სახელს ვუწოდებთ. მე მგონია კმარა მაგალითების მოყვანა. როცა ჩვენ ბოტანიკას დავათავებთ (ჯერ-ჯერობით მარტო პირველი ნაწილი დაიბეჭდა „ცნობის ფურცელში“), მაშინ შეიძლება ვრცელი ბაასი იმ ჩემ ბოტანიკაზე და მაშინაც ვთხოვთ ბ-ნ კრიტიკოსს, არ მოგვაკლოს თავისი აზრი ჩვენის ბოტანიკის შესახებ.

აგრონომი მ. ზაალიშვილი

## გამოსადეგი ცნობა

—

შავი ჭირი (ჟამი). დღეს, როდესაც საშინელი სენი შავი ჭირი შესამჩნევად მოგვიახლოვდა და მალე შესაძლოა კარზედაც მოგვადგეს, მეტი არ იქნება გავაცნოთ ჩვენს მკითხველებს ეს სენი, მისი წამლობის წესები და სხ...

სენის სამგვარი სახე და მისი გამოცნობა. შავი ჭირი არის სამგვარი: 1) ჯირკვლებიანი შავი ჭირი (ყველაზე უფრო ხშირი). ასეთს შავ ჭირს, რასაკვირველია, თან ახლავს შავი ჭირის ყველა საზოგადო ნიშნები: ძლიერი სიცხე (40 გრადუსი მეტი), ხშირი მაჯის ცემა, სისუსტე, ბოდვა, ენის გაშრობა, რომელსაც ჯერ თეთრი ფერი ედება, შემდეგ-კი ბნელ-ყვითელი, წყურვილი და სხ.; მაგრამ გარდა ამ საზოგადო ნიშნებისა ეს პირველ-გვარი შავი ჭირი იწვევს ჯირკვლების დასივებას შემდეგს ადგილებში: ფერდებში, იღლიებში, საზარდულებში, კისერზე (კისრის ჯირკვლები განსაკუთრებით საშიშია, რადგან მათი ძლიერი გასივების გამო, ადამიანი სწრაფად იხრჩობა). ეს ჯირკვლები უჩნდება ავადმყოფს ავად გახდომის დღიდან მეორე, ხან-კი მესამე და მეექვსე დღეზე. ამ ჯირკვლებმა ძალიან ატკივება იციან და მათ გარშემო ხორცი სივდება. შემდეგში ეს ჯირკვლები ჩირქდებიან და იხსნებიან.

მეორე გვარი შავი ჭირი, რომელიც საშუალო საუკუნოებში მძვინვარებდა ევროპაში, პირველ-

ზე უფრო ძნელია. მასაც თან ახლავს საზოგადო ნიშნები; ხოლო მის ნიშნობლივ თვისებას შეადგენს ფილტვების დაზიანება, ე. ი. სასტიკი ანთება, რომელსაც თან სდევს სისხლის ხველება და ფერდში ჩხვლეტა, როგორც ჩვეულებრივი ფილტვების ანთების დროს, ხოლო განსხვავება ის არის, რომ შავი ჭირით ფილტვების ანთება იწვევს უკიდურესს დაუძლურებას, გარეტებას, ბოდვას, სისხლის ღებას, სისხლის შარდს და სხ. ამასთან სწრაფად დაუძლურების შემდეგ ძალიან მალე, სულ ერთ-ორ საათში, ავადმყოფი კვდება ჯირკვლების გაჩენამდე.

მესამე გვარ, ანუ მუცლის შავ ჭირს თან ახლავს: პირის ღება, შეკვრა, სწრაფად დაუძლურება, სიცხე, ენის გაშრობა, საშინელი ბოლმა და სწრაფი სიკვდილი. მაგრამ როცა შავი ჭირი გავრცელდება, მაშინ ხანდახან მსუბუქადაც იჩენს ხოლმე თავს, ავადმყოფი ფეხზე იხდის მას: ასეთს შემთხვევაში ავადმყოფს დაემართება ჟრჟოლა, მცირეოდენ სიცხეს მისცემს და უჩნდება ჯირკვლები, რომლებიც უჩირქდება ასეთი ავადმყოფები, რასაკვირველია, ყოველთვის იკურნებიან, მაგრამ ისინი საშიშნი არიან იმითი, რომ სენს ავრცელებენ.

## სხვა-და-სხვა ამბავი

ავსტრიის დედოფლის მკვლელის სასჯელი. 28 ოქტომბერს ჟენევის სასამართლომ განიხილა ავსტრიის დედოფლის მკვლელის ანარქისტის ლუკენის საქმე და მიუსაჯა მას საუკუნოდ სატუსაღოში ჯდომა. თავმჯდომარის კითხვაზე, ნანობ თუ არა შენს დანაშაულსაო, ლუკენიმ უპასუხა: სრულიადაც არ ვნანობ და კიდევ გავიმეორებ, მაგვარ დანაშაულს, რომ შემთხვევა მქონდესო. შემდეგ, ჩვენების ჩამორთმევის დროს, ლუკენიმ უარჰყო, თითქო მას მონაწილეები ჰყოლოდეს და გაიმეორა, მინდოდა ორლეანის ჰერცოგი მომეკლა და მოვკლავდი იტალიის მეფეს, რომ საკმარისად მქონოდა ფული იტალიაში წასასვლელადაო. ამ სახით, მთელი პასუხის-გება თავის დანაშაულზე ლუკენიმ თავისთავზე იკისრა.

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 ნოემბერი

**პეტერბურგი.** მთავრობის წარმომადგენლად მომავალს კონფერენციაზედ რომში ანარქისტების შესახებ დანიშნულია რუსეთის ელჩი იტალიის სასახლეში ნელიდოვი. იმის თანაშემწედ იურიდიულსა და საპოლიციო და საადმინისტრაციო განყოფილებაებში იგზავნებიან ობერ-პროკურორი სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტისა სლუჩევსკი და დირექტორი პოლიციის დეპარტამენტისა ზვოლიანსკი. კონფერენცია საქმეს შეუდგება 12 ნოემბერს.

**ადესა.** დიდ მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს მალიან 1 დეკემბერს და აქედგან სანსტეფანში წავა რუსეთის მხედრობის დეპუტაციის მეთაურად. ეკკლესიის კურთხევაზე დასასწრებლად, რომელიც აშენებულია უკანასკნელ რუს-ოსმალოთა ომის დროს დახოცილ მეომართა მოსაგონებლად. დეპუტაციას შეადგენენ აფიცრები და ჯარის კაცნი, რომელნიც წარსულ ომიანობის დროს ბალკანის იქითა მხარეს იყვნენ.

**პარიზი.** იმ მოწმეთა შორის, რომელთაც პირველად ჩამოართმევს ჩვენებას საკასაციო პალატა და რომელთა ჩვენებაც დრეიფუსისათვის სასარგებლო უნდა იყვეს, პიკარი არის, რომელსაც დღეს გაანთავისუფლებენ სატუსაღოდან. დაბეჯითებით ამბობენ, რომ იმ ქაღალდების საშუალებით, რომელნიც ესტერგაზის სახლში იპოვნეს, ძნელი არ იქნება დამტკიცება იმისი, რომ ანრისა და ესტერ-გაზის ერთმანეთთან ფულის ანგარიში ჰქონიათ. მთავარს შტაბში თუ მართლა დაიკარგა საბუთის ქაღალდები და იმათი პოვნა გვინდა, ამ ორ კაცთ უნდა ჩაუდგეთ კვალში.

**პეკინი.** ცუნგლ-იამენი დაჰპირდა ინგლის-გერმანიის სინდიკატს პირობით შეგეკვრებით შესახებ რკინის გზის გამართვისა ტიანძინიდგან ჩინგ-კიონგამდეო.

**სტამბოლი.** სულთანმა გაუგზავნა რუსეთის იმპერატორს დეპეშა, რომლითაც მადლობას სწირავს ოსმალეთის მიერ რუსეთში გაგზავნილ დესპანების ჩინებულად დახვედრისათვის და აგრეთვე იმ მეგობრობის გამომხატველ წერილისათვის, რომელიც იმპერატორმა საკუთარის ხელით მისწერა სულთანს.

ოსმალეთის მთავრობამ ნება დართო ბულგარიის გემს „ნადეჟდას", რომელიც ბოსფორში გაკეთებული, დარდანელის სრუტეში გასვლისა.

**ნიუ-იორკი.** სავაჭრო პალატაში გამართულ ბანკეტზე ინგლისის მინისტრად ნამყოფმა გერშელმა, რომელიც მეჯლისს დაესწრო ვითარცა სტუმარი, პასუხად წარმოთქმულ სადღეგრძელოსი, აღნიშნა მეგობრობის გრძნობანი ინგლისელებისა და ამერიკელების შორის და ამავე დროს იკითხა, ნუ თუ შესაძლებელი არ იქნება, რომ ამ ორსავე სახელმწიფომ შეაერთონ თვისი ძალ-ღონე საგერის ომისათვის, თუ ვინიცობაა ამერიკას თავს დაესხა მესამე დიდი სახელმწიფო.

**კანეა.** დღეს სამშობლოში ბრუნდება იტალიის ერთი რაზმი ჯარისა. მალე საფრანგეთში დაბრუნდება ფრანგების ჯარის ერთი რაზმი. შაქირ-ფაშა სტამბოლში წავიდა.

**მანჩესტერი.** ჩემბერლენმა სთქვა, რომ შეიარაღებას ხმელეთზედა და ზღვაზე საგნად არა ჰქონდა დაეშინებინა რომელიმე დიდი სახელმწიფო და ამიტომ სრულებით მუქარად არ უნდა ჩაითვალოს: ეს მხოლოდ გასაფრთხილებელი ღონისძიებაა. არ იქმნებოდა გონიერი საქციელი შეიარაღების შეჩერება იმ დრომდე, ვიდრე შიში არის. მე დარწმუნებული ვარო, — განაგრძო ორატორმა, — რომ მშვიდობიანობის მომხრეებს იმედი აქვთ, ფაშოდის საქმის შესახებ საფრანგეთის გარდაწყვეტილება იმას მოასწავებს, რომ საფრანგეთმა აღიარა ის პრინციპი, რომლის გულისათვის ჩვენ ვიბრძვით ეგვიპტეს სახელით, იმ ეგვიპტისა, რომლის გადარჩენა აოხრებისაგან ძვირად დაგვიჯდა ჩვენ და რომელიც კვლავ დავაყენეთ სასურველ ფეხზე. ჩვენ გვსურს ბატონობა იმ ადგილებისა, რომლებიც ოდესმე ეკუთვნოდნენ ეგვიპტეს, ან რომლებიც დერვიშების ხელში ჩავარდნენ. ეგვიპტესა და საფრანგეთის ადგილების შორის საზღვარის საქმემ შეიძლება გამოიწვიოს საისტორიო და საგეოგრაფიო გამოკვლევანი და მეგობრული მოლაპარაკება. ჩვენ, თუ გნებავთ, მზადა ვართ, საფრანგეთს ყოველნაირი შეღავათი მივსცეთ, რათა მის ვაჭრებს ნილოსისაკენ გზა-ხსნილი ჰქონდესთ, მაგრამ არას შემთხვევაში არ შეგვიძლიან მსჯელობა ვიქონიოთ იმ საგნის შესახებ, რაზედაც მე ეხლა მოგახსენეთ. ფაშოდიდგან მარშანის წასვლას თან უნდა მოჰყვეს ყველა იმ ადგილების დაცლა, რომელნიც ოდესმე ეგვიპტეს ეკუთვნოდა. მარშანი მხოლოდ განათლების წინამორბედი რომ ყოფილიყო, ინგლისსა და საფრანგეთს შორის უთანხმოება დიდი ხნის წინად მოისპობოდა; მაგრამ ფაშოდის გამო ატეხილს დავამდინაც საფრანგეთთან სასურველი დამოკიდებულება არ გვქონია. სრულიად შეთანხმებისათვის საჭიროა, რომ საფრანგეთის პოლიტიკოსებმა თავი დაანებონ იმ საქციელს, რომელსაც ისინი მისდევდნენ რამდენიმე წლის განმავლობაში და აზრად ჰქონდათ ინგლისის პოლიტიკისათვის ხელი შეეშალათ ქვეყნის ყველა კუთხეში, იქაც კი, სადაც საფრანგეთი არავითარს სარგებლობას არ გამოელის. ფაშოდის დაჭერა ისეთი საქციელი იყო, რომელიც ინგლისს მტრობის ნიშნად უნდა მიეღო. შემდეგ ჩემბერლენმა აღნიშნა, რომ საფრანგეთის მოთხოვნილებანი შესახებ ნიუ ვანდლენდისა თან და თან ძლიერდებოდა, რომ დასავლეთ აფრიკაში ინგლისი იძულებულ შეიქმნება ნება-უნებურად დაეარსებინა ახალი ჯარი, რომლის საგანგებო დანიშნულება არის დაიცვას ეს ადგილები ფრანგების შემოსევისაგან, რომლებიც თავს ესხმოდნენ ინგლისის მფარველობის ქვეშ მყოფ ტომებს, ინგლისი არ ელოდდა, ამგვარ ქცევას იმ სახელმწიფოსაგან, რომელთაც ჰსურდა მეგობრულის კავშირის დაჭერა. დასასრულ ჩემბერლენმა სთქვა, უწინ ინგლისსა და ამერიკას შორის ორი მიზ[illegible] იყო უთანხმოებისა, ხოლო ე[illegible] ამერიკის ერმა იცის, რომ უკანასკნელობის დროს ინგლისელთა გული ამ ერისაკენ იყო. ამერიკელებიც ასეთივე სამეგობრო გრძნობით იყვნენ გამსჭვალულნი. ორატორმა იმედი განაცხადა, რომ ასეთი თანხმობა მომავალში უფრო გაძლიერდება და ეს ორი სახელმწიფო შესძლებს თავმდებობა გაუწიოს მთელს ქვეყანას მშვიდობიანობისა და ცივილიზაციისა.

## ნიხრი

გამომცხვარი პურისა ამა 1898 წ. 20 ოქტომბრიდან, ვიდრე შეიცვლებოდეს.

ა) ფურნის პური

1-ლის ხარისხისა, გამომცხვ. რუსეთის ფქვილ. გირვ. 4 1/2 კ.
მეორე ხარისხისა, გამომცხვ. ნახევრად რუსეთის ფქვილ. და ნახევრად ადგილ. გირ. 3 3/4 კ.
მესამე ხარის., გამომცხ. საუკეთესო ადგილობ. ფქვ. — 3 [illegible] კ.

ბ) თონის პური

1-ლი ხარისხის ჯვარის-მამის პური, 1 გირვანქა . . 5 კ.
მეორე ხარისხისა, გამომცხვ. ნახევრად რუსეთის და ნახევრად ადგილ. ფქვილ. 4 1/4 „
მესამე ხარისხ., გამომც. საუკეთესო ადგილ. ფქვილ. 3 3/4 „

გ) ლავაში

პირველი ხარისხისა, ჯვარის-მამის ლავაში, გირვანქა 6 1/[illegible]
მეორე ხარ., თათრული ლავაში, საუკეთესო ადგ. ფქვ[illegible]

Дозволено цензурою. Тифлисъ, 7 Ноября 1898 г. სტ. „ცნ. ფურც." (ვ. გუნიასი), რედაქტორ-გამომცემელი ვ. გ[illegible]